პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერა ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ყველა ნიშნულის უწყვეტი განხორციელებისთვის

განხორციელების ვადა: 22.08.2017 - 30.09.2020

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 2 000 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Public Service Development Agency

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/sazogadoebrivicentri/,
facebook.com/psda.gov.ge

პროექტის ვებსაიტები: migration.commission.ge; centri.gov.ge; sda.gov.ge

პროექტის აღწერა:

პროექტი წარმოადგენს ნაწილს ევროკავშირის ძალისხმევისა, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კარგი მმართველობის მხარდაჭერა ხდება. იგი ხელს უწყობს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რათა უფრო ეფექტურად განხორციელდეს და განვითარდეს ის რეფორმები, რომელიც ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივითაა შეთანხმებული. გარდა ამისა, პროექტი ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის 2020 წლის გეგმაში ასახულ პრიორიტეტებს.

მოსალოდნელი შედეგები:

1. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და მისი სამდივნოს ინსტიტუციონალური შესაძლებლობები უფრო მეტად გაძლიერებულია, რაც საქართველოში მიგრაციის ეფექტურ მართვას უწყობს ხელს;
2. სულ მცირე 64 საზოგადოებრივი ცენტრია აშენებული, აღჭურვილი, დაკომპლექტებული და სრულად ამოქმედებული;
3. სოფლის მოსახლეობა ინფორმირებულია ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორებიცაა: ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის წესები და მოწყვლადი ჯგუფების უფლებებთან/საჭიროებებთან დაკავშირებული საკითხები, სულ ცოტა 120 საინფორმაციო, საგანმანათლებლო და სამოქალაქო ჩართულობის ღონისძიების დახმარებით, რომლებიც საზოგადოებრივი ცენტრების დახმარებით განხორციელდა;
4. სულ ცოტა 55 მუნიციპალიტეტი ახორციელებს ხარისხიან ელექტრონულ მომსახურებას, ისევე, როგორც მართავს შიდა პროცესებს ელექტრონული მმართველობის ინსტრუმენტებით (MMS) (რომელთაგან, სულ ცოტა 34 მუნიციპალიტეტი იყენებს სისტემის სრულ ფუნქციებს);
5. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის უტყუარობის დადგენის სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს დაადგინოს საქართველოს მოქალაქეების მიერ შექმნილი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების მიერ შექმნილი კვალიფიციური ელექტრონული შტამპების უყტუარობა. სისტემა ასევე ხელს უწყობს მონაცემთა გაუმჯობესებას და დოკუმენტების უსაფრთხოებას.